ოქმი:**№135. 13524092001**
თარიღი:**01/04/2024**

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სხდომის ოქმი №-3

დ. მესტია 28.03. 2024წ

<u>სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:</u> მ. ჯაფარიძე, ზ. ჩართოლანი, ბ. ნაკანი, ბ. კვიციანი, გ. გიგლემიანი, გ. ხვისტანი, დ. გვიჩიანი, დ. ჯაფარიძე, ვ. ჭკადუა, ზ. ხარძიანი, ზ. ფალიანი, თ. დადეშქელიანი, ი. გირგვლიანი, ი. რატიანი, ლ.პაკელიანი, ლ. პირველი, ლ. ჩარკვიანი, მ. პაკელიანი, მ. ხორგუანი, შ. რატიანი, ლ. ქალდანი, შ. გულედანი, შ. ცინდელიანი, რ. გვარმიანი, კ. გუჯეჯიანი.

<u>სხდომას არ ესწრებოდნენ:</u> ა. რატიანი. გ. გელოვანი, გ. დადვანი, ზ. ჯაფარიძე, ვ. ფილფანი, მ. კვანჭიანი, მ.გელოვანი, მ.რატიანი,

<u>სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი თ. ნავერიანი; მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის განყოფილების უფროსი თ. გოშთელიანი, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების სამსახური განყოფილების უფროსი ლ. მჭედლიანი;

<u>სხდომას თავმჯდომარეობდა</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მ. ჯაფარიძე.

<u>სხდომის მდივანი:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საოქმო განყოფილების მთ. სპეციალისტი მ. ნიგურიანი.

სხდომის დაწყებამდე საკრებულოს წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, სხდომას ესწრება საკრებულოს 33 წევრიდან 25 წევრი.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სთხოვა საკრებულოს წევრებს, წუთიერი დუმილით გამოეხატათ საკრებულოს წევრის მარგო კვანჭიანის გარდაცვალება.
სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი
დღის წესრიგი:

1. მესტიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

/მომხსენებელი: თ. ნავერიანი თანამომხსენებელი: რ. გვარმიანი ./

2. მესტიის მუნიციპალიტეტსი სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

/მომხსენებელი: ლ. მჭედლიანი. თანამომხსენებელი: ზ. ფალიანი/

3. მულახის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ჩვაბიანში განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: თ. გოშთელიანი. თანამომხსენებელი: ზ. ფალიანი/

4. მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების შპს „აკვაჰიდროსთვის“ აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე, მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

/მომხსენებელი: თ. გოშთელიანი. თანამომხსენებელი: ზ. ფალიანი/

5. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

/მომხსენებელი: შ. ცინდელიანი/

6. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მარგო კვანჭიანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

/მომხსენებელი: შ. ცინდელიანი/

7. მდგრადი განვითარების მიზნების მესტიის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: ლ. ჯაფარიძე. თანამომხსენებელი: ბ. ნაკანი/

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ეყაროს კენჭი ,,მესტიის **მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 მარტის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“**. წარმოდგენილი რედაქციით.

მომხრე----------25

წინააღმდეგი------0

თავი შეიკავა-------0

კენჭისყრის შედეგად საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

საკრებულომ დაადგინა: მიიღონ განკარგულება `მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 მარტის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება № გ-135. 135240881 **თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა თ. ნავერიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში“.

მომხსენებელმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო მესტიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას. ისაუბრა 2023 წლის გეგმაზე და გეგმის შესრულებაზე. 2023 წლის ბიუჯეტის გეგმა შეადგენს - 34449.98 ათასი ლარის შესრულება -- 34744.62. ათასი ლარი. ისაუბრა ბიუჯეტის სარეზერვო ფონდზე, 2023 წლის მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სარეზერვო ფონდი განსაზღრულ იქნა 300,0 ათასი ლარის ოდენობით, რაც სრულად იქნა ათვისებული სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ.

2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ნაშთის სახით ირიცხებოდა 3,540.887 ათასი ლარი, აღნიშნული ნაშთიდან 1046.31ათასი ლარი შეაგდენდა სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილ

ტრანსფერებს, ხოლო 2 493.39 ათასი ლარი საკუთარი შემოსავლებიდან ნარჩენ თანხას. აღნიშნული თანხები გაწერილი იქნა 2023 წლის ბიუჯეტის დაზუსტების დროს დაგეგმილ ღონისძიებებსა და აღებული ვალდებულებების შესაბამისად.

2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ნაშთის სახით ირიცხებოდა 2221.58 ათასი ლარი, აღნიშნული ნაშთიდან 745.35ათასი ლარი შეაგდენდა სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები, ხოლო 1476.23 ათასი ლარი საკუთარი შემოსავლებიდან ნარჩენი თანხა.

ისაუბრა მესტიის მუნიციპალიტეტის მიერ აღებულ ვალდებულებებზე. ვალდებულების აღება უკავშირდება შემდეგ პროექტებს:

1. „მესტიის მუნიციპალიტეტში, სოფელ მულახში ილიკო გაბლიანის სახელობის სპორტსკოლის რეკონსტრუქციის“ დაფინანსების შესახებ მესტიის მუნიციპალიტეტსა და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის 2017 წლის 10 თებერვალს ხელმოწერილი საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულების სასესხო დამატების მიხედვით მესტიის მუნიციპალიტეტის ვალდებულებაა მგფ-ის მიმართ 2 191 ,8 ათასი ლარი. მათ შორის :სესხის ძირითადი თანხა შეადგენს 1 340 ,7 ათას ლარს, პროცენტი -851,0 ათას ლარს.

2. მესტიის მუნიციპალიტეტისთვის 3 ცალი კომპაქტორიანი ნაგავმზიდი მანქანის და 140 ცალი ნარჩენების კონტეინერის გადაცემის შესახებ მესტიის მუნიციპალიტეტსა და სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს“ შორის 31.12.2018 წ. ხელმოწერილი ქონების გადაცემის ხელშეკრულების სასესხო დამატების მიხედვით მესტიის მუნიციპალიტეტის ვალდებულებაა მგფ-ის მიმართ 843,4 ათასი ლარი. მათ შორის: სესხის ძირითადი თანხაა 563,9 ათასი ლარი, პროცენტი -279,5 ათასი ლარი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: ზ. ჩართოლანი:--განაცხადა, რომ სატყეოდან შემოსულ მოსაკრებელის დეტალურად განხილვა მომდევნო სხდომისთვის იქნას ჩანიშნული.

რ. გვარმიანი--საფინანსო კომისიამ განიხილა პროექტი, აღნიშნა რომ ბიუჯეტი მორგებულია მუნიციპალიტეტის საჭიროებაზე.

მ. ჯაფარიძე- აღნიშნა, რომ გასულ წლებთან შედარებით ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებელი დამაკმაყოფილებელია და მიაჩნია დამაკმაყოფილებლად შეფასდეს 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------25
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, მესტიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება №გ-გ-135. 135240606 **თან ერთვის)**
მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ლ. მჭედლიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტსი სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“.

მომხსენებელმა განმარტა, რომ სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში სოფლის მოსახლეობა კრებებზე თანხმდება სოფლის საჭიროებებზე და ამ პროგრამის დახმარებით ხდება სამუშაოების შესყიდვა/წარმოება. დღეის მდგომარეობით წამოყენებულია 157 საპროექტო წინადადება. „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით ყველაზე ხშირად ფინანსდება შიდა სასოფლო გზები, შიდა განათება, შემოღობვა, წყაროების მოპირკეთება, სკვერების მოწყობა, მინი სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა. მომხსენებელმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო ყველა ტერიტორიულ ერთეულში ჩატარებული კრების ოქმები პოვერ პოინტის ფორმით, ოქმებში ჩანიშნულია აგრეთვე **დამატებით დასმული მოთხოვნები.**

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: შ. ცინდელიანმა-- განაცხადა, რომ სასურველი იქნება სოფლის პროგრამების ანალიზი, რომ გაკეთდეს.

ზ. ფალიანი--კომისიამ განიხილა საკითხი, ვინაიდან მუნიციპალიტეტის ყველა ტერიტორიულ ერთეულში საკრებულოს წევრები აქტიურად იყვნენ ჩართული პროექტების დაგეგმვაში, შეკითხვებიც არ არის.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------25

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტსი სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება №გ-135. 135240883**თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხზე მოხსენება გააკეთა თ. გოშთელიანმა ,,მულახის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ჩვაბიანში განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“.

თ. გოშთელიანმა დამსწრე საზოგადოებას მოახსენა, რომ განაშენიანების პროექტის პირველი ეტაპი დამტკიცდა გასული წლის სექტემბრის სხდომაზე, კანონის შესაბამისად წარმოგიდგენთ განასენიანების დეტალურ გეგმას--მეორე ეტაპს, გააცნო გენგეგმა და შენობის ესკიზი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: ზ. ჩართოლანი:-ვიზუალობა მოიწონა, შეესაბამება გარემოს, წყლის დებეტის კვლევა არის ერთერთი მთავარი თემა და იკითხა სასტუმროსთვის თუ არის შესწავლილი/მოძიებული წყალი საიდან მიეწოდება სასტუმროს.

თ. გოშთელიანი--პროექტირების დროს მოძიებულია და შესწავლილი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------25

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, ,,მულახის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ჩვაბიანში განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება №გ-135. 135240884**თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხზე მოხსენება გააკეთა თ. გოშთელიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების შპს „აკვაჰიდროსთვის“ აღნაგობის

უფლებით გადაცემის თაობაზე, მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“
მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტი საკრებულოში შემოტანილი იყო გასულ წელს, აღმოჩნდა რიგი პრობლემები მოსახლეობის მხრიდან, იყო შეხვედრები მოსახლეობასთან, დღეის მდგომარეობით ყველა პრობლემა მოგვარებულია და შეთანხმებულია ადგილობრივ მოსახლეობასთან.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.
აზრი გამოთქვა: ბ. ნაკანმა-- პროექტის შესწავლის გამო გადაიდო საკითხი, კომისიის წევრების და მერიის სამსახურის ერთობლივი მუშაობით ჩატარდა შეხვედრები მოსახლეობასთან, დღეის მდგომარეობით ყველა პრობლემა მოგვარებულია.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------25
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----
კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების შპს „აკვაჰიდროსთვის“ აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე, მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება №-გ 135. 135240885 **თან ერთვის)**
მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხზე მოხსენება გააკეთა შ. ცინდელიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“.
მომხსენებელმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეების მიერ მოწოდებული სამუშაო გეგმა.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.
აზრი გამოთქვა: მ. ჯაფარიძე--საკრებულოს წევრებიდან არის პასიურობა კომისიის სხდომებზე დასწერების და სთხოვა საკრებულოს წევრებს აქტიურად მიიღონ მონაწილეობა პროექტების შესწავლასა და შეიტანოს შენიშვნები, წინადადებები საკრებულოს კომპეტენციაში შემავალ ყველა საკითხზე;
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ პროექტს.
მომხრე ----------20
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----
კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება №:გ-135. 135240886**თან ერთვის)**
მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეექვსე საკითხზე მოხსენება გააკეთა შ. ცინდელიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მარგო კვანჭიანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“.
მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მარგო კვანჭიანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“.
მიღებული იქნა განკარგულება:

(განკარგულება №გ-გ-135. 135240607 **თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეშვიდე საკითხზე მოხსენება გააკეთა ლ. ჯაფარიძემ ,,მდგრადი განვითარების მიზნების მესტიის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელმა დამსწრე საზოგადოებას მოახსენა, რომ 2015 წლის სექტემბერში გაეროს გენერალურმა ასამბლეამ რეზოლუციით მიიღო „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა. საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა, ვინც შეუერთდა აღნიშნულ რეზოლუციას და დაიწყო მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის და განხორციელების პროცესი. მდგრადი განვითარების მიზნები 17 მიზნისა და 169 ინდიკატორის ნაკრებია, რომლებზეც თანხმდება გაეროს ყველა წევრი ქვეყანა უკეთესი და უფრო მდგრადი მომავლის მისაღწევად. ეს მიზნები ჩვენ წინაშე არსებულ თანამედროვე გლობალურ გამოწვევებს ეხება: სიღარიბის, უთანასწორობის, კეთილდღეობის, მშვიდობისა და სამართლიანობის საკითხებს, ასევე კლიმატურ და ეკოლოგიურ გამოწვევებს. ეს მიზნები მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს და იმისთვის, რომ არავინ დარჩეს მათ მიღმა, მნიშვნელოვანია, თითოეული ეს მიზანი და ინდიკატორი 2030 წლამდე შესრულდეს. მესტიის მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული გამოწვევებისა და თვითმმართველი ერთეულის კონტექსტის გათვალისწინებით, გაეროს მდგრადი განვითარების **9 მიზანი** და **26 ამოცანა** განისაზღვრა მესტიის მუნიციპალურ პრიორიტეტად. ცხრილში მოცემული ინფორმაცია მოწოდებულია მუნიციპალიტეტის სამსახურების მიერ. ცხრილში შეტანილი მიზანები და ამოცანები შეიძლება შეიცვალოს მუშაობის პერიოდში. საქართველო არის გაეროს179 წევრი, ამდენად გაეროს მიერ მიღებული რეზოლუციები გვაქვს ვალდებულება განიხილოს და მიიღოს შესასრულებლად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა:

მ. ჯაფარიძე--წარმოდგენილი დოკუმენტი გაეროში გასაგზავნი ჩარჩო-დოკუმენტია, მუნიციპალიტეტს არ აქვს გამოცდილება მსგავს დოკუმენტზე მუაშაობის, ვინაიდან სხვადასხვა სფეროს შეიცავს უმჯობესია მოწვეულ იქნას სპეციალისტები და სწორად წარვმართოთ მუნიციპალიტეტის განვითარება.

ზ. ჩართოლანმა-მიესალმა, მადლობა გადაუხადა მომხსენებელს ამხელა შრომისთვის რაც გაწიეს დოკუმენტის შექმნაზე და განაცხადა, რომ მდგრადი განვითარების მიზნების მესტიის მუნიციპალური დოკუმენტი არის სიახლე, შერჩეულია პრიორიტეტები რა მიმართულებებით უნდა იმუშაოს მუნიციპალიტეტმა, ეს დოკუმენტი უნდა გავითავისოთ ყველა ჩვენთაგანმა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ პროექტს.

მომხრე ----------22

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მდგრადი განვითარების მიზნების მესტიის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“.

მიღებული იქნა განკარგულება:

(განკარგულება № :გ-135. 135240888 **თან ერთვის)**

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი განხილული იქნა.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი